ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 01/14
CPV 31200000 - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა

CPV 31212200 - წრედის ტესტერი

ქ. თბილისი **05 მარტი 2018 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი უფროსის მოადგილის - მაია სიმონიძის სახით და მეორე მხრივ, **შპს "დი.ეი.სი."** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით აფრიაშვილი** სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია **სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით** სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის წრედის ტესტერის სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია:

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი
1	მულტიმეტრი 765 TES. SINO DM890C+	ცალი	1	65,00	65,00
	ჯამური ღირებულება:				**65,00**

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

2.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **65.00** (სამოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების და ყველა გადასახადის ჩათვლით.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. მიწოდების თარიღი – ხელშეკრულების გაფორმებიდან **15** მარტის ჩათვლით.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის მთავარი სპეციალისტი - **გოჩა გურგენიძე.**

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1. შესყიდვის ობიექტის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2. მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის შესრულება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და პირობებით;

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.6. იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს

ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან - 2018 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს ხელშეკრულების ინსპექტირება, რომლის მიზანია მისი მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

11.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის მოადგილე - **ნიკოლოზ ლომსაძე.**

11.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობებს მიმწოდებელს ან/და ზეპირსიტყვიერად ხარვეზის მიზეზების მითითებით აცნობებს მიმწოდებელს.

11.4. გამოვლენილი დეფექტის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

12.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ შედგენილი წერილობითი შეთანხმების ფორმით.

12.4. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები,

მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ ,განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ს/კ 205300048; მის.: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ.1ა უფროსის მოადგილე **მაია სიმონიძე** ---------- (ხელმოწერა)	**შპს "დი.ეი.სი."** ს/კ:204975269 მის.: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N7 ბ18 ტელ: 299 09 29 ს/ს საქართველოს ბანკი BAGAGE22 ა/ა GE50BG0000000819562901 დირექტორი **დავით აფრიაშვილი** ---------- (ხელმოწერა)